საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №744

თბილისი „23“ 08 2017 წ

2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმისა და დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, „2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 აგვისტოს №396 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსის 2017 წლის 16 აგვისტოს N945302 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად დამტკიცდეს 2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმა.

2. ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად დამტკიცდეს 2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების

მისაღებად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა.

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

ალექსანდრე ჯეჯელავა

დანართი N1

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრს, ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას

მოქალაქე .....
(გვარი, სახელი, მამის სახელი)
.....
(პირადი ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

.....წელს ჩავირიცხე .....
(მიუთითეთ ჩარიცხვის წელი)
.....
(უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამა)

მივეკუთვნები საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 აგვისტოს №396 დადგენილებით განსაზღვრულ შემდეგ კატეგორიას/კატეგორიებს: ....
.....
.....
(მიუთითეთ კატეგორია/კატეგორიები)

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მიზნით.

დანართი: ..... ფურცელი.

შენიშვნა: განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მოეთხოვება განცხადებაში მითითებული კატეგორიის/კატეგორიების მქონე პირს.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია: .....
.....
.....
.....

განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი .....

ტელეფონი ..... მობილური .....

ვადასტურებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინფორმაციის ნამდვილობას და ვაცნობიერებ აღნიშნულთან დაკავშირებით ჩემ პასუხისმგებლობას. თანახმა ვარ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები.

განმცხადებლის ხელმოწერა ..... განცხადების შევსების თარიღი.....

დანართი N2

2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. მაგისტრანტებმა, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2017 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:
   1.1. განცხადება;
   1.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
   1.3. ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
   1.4. დაბადების მოწმობის ასლი;
   1.5. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის შვილი ან ცნობა მშობლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ;
   1.6. მშობლის/მშობლების გარდაცვალების მოწმობის ასლი/ასლები.

2. მაგისტრანტებმა, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2017 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:
   2.1. განცხადება;
   2.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
   2.3. ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
   2.4. მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის (ფორმა №IV-50/4) ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

3. მაგისტრანტებმა, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70000-ზე, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2017 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:
   3.1. განცხადება;
   3.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
   3.3. ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
   3.4. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.